საჯარო ონლაინ ლექცია - „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრაქტიკა ტერორიზმთან ბრძოლაში, სინძიან 27.12.2020 11:10

2020 წლის 24 დეკემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა საჯარო ონლაინ ლექცია დოკუმენტური ფილმის ჩვენებით -„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრაქტიკა ტერორიზმთან ბრძოლაში, სინძიან-უიგურის ავტონომიური ოლქის მაგალითზე“. აღნიშნული პროექტის ავტორია სინძიანის უნივერსიტეტის ექპერტ-კონსულტანტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტერორიზმის კვლევის ცენტრის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ბადრი ნაჭყებია.
პროექტი განხორციელდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობით და საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხარდაჭერით.

1 / 2

საჯარო ონლაინ ლექცია - „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრაქტიკა ტერორიზმთან ბრძოლაში, სინძიან- 27.12.2020 11:10

ონლაინ ლექციას ესწრებოდა 80-მდე პირი. იგი გახსნა უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა მალხაზ
ბაძაღუამ .
ლექცია წარადგინა პროექტის ავტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა
ბადრი ნაჭყებიამ
. ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი -„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრაქტიკა ტერორიზმთან ბრძოლაში, სინძიან-უიგურის ავტონომიური ოლქის მაგალითზე“. ლექციის მონაწილეებს მიესალმა ჩინეთ-საქართველოს მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტი, ქალბატონი
ვან ლინი
და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
მამუკა თავხელიძე
, რომაელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს პროექტის მხარდაჭერისთვის. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა:
თინათინ ლობჟანიძემ, ოთარ არავიძემ, ლილი სალაძემ, მარიამ შონიამ, ნინო ბარამიამ, ანა ურდულაშვილმა, მეგი გვილავამ
და პროფესორებმა:
თამარ თავხელიძემ
და
დავით გუგავამ
; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა: ანა სამაკაშვილმა, რეზო ჭუმბურიძემ, გიორგი რურუამ და
გიული გვარაძემ

.

2 / 2